სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/46 24.06. 2020 ბრძ

ზაფხულის სკოლის ორგანიზების შესახებ

აწსუ-ს აკადემიური საბჭოს №11 (17/18), 10.11.2017 დადგენილების შესაბამისად 2019/2020 სასწავლო წლის ზაფხულის სკოლის საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ზაფხულის სკოლის ფუნქციონირება განხორციელდეს 2020 წლის **28 ივლისიდან 12 სექტემბრის ჩათვლით** და ნება დაერთოთ სტუდენტებს აითვისონ სასწავლო კურსები არა უმეტეს 2 კრედიტისა სასწავლო კვირის განმავლობაში. სტუდენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში.
2. სტუდენტთა განცხადებების მიღება (სტუდენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის ასლი) განხორციელდეს ელექტრონულად სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის ელ. ფოსტაზე info.students@atsu.edu.ge **2020 წლის 15 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით.**
3. ზაფხულის სკოლაში სასწავლო პროცესი განხორციელდეს:
   ა) ონ-ლაინ, უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული პლატფორმების - Microsoft Teams (Microsoft Forms) ან moodle.atsu.edu.ge-ის გამოყენებით;
   ბ) საუნივერსიტეტო სივრცეში;
4. სწავლების ფორმატი განისაზღვროს ცალკეული სასწავლო კურსის მიხედვით, ფაკულტეტის დეკანის განკარგულების საფუძველზე;
5. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:
   - სტუდენტთა განცხადებების და ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე, სასწავლო კურსების მიხედვით, დააკომპლექტონ სასწავლო ჯგუფები და უზრუნველყონ ისინი სწავლების გრაფიკითა და ყველა საჭირო რესურსით (აკადემიური პერსონალი, ტექნიკური აღჭურვილობა და ა.შ.);
   - უზრუნველყონ, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლება განხორციელდეს აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის სილაბუსის შესაბამისი მოცულობით, სწავლისა და შეფასების სათანადო მეთოდების გამოყენებით;

- უზრუნველყონ შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარება, როგორც ონ-ლაინ, ისე საუნივერსიტეტო სივრცეში, უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 5 ივნისის № 01-04/39 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით;
- ზაფხულის სკოლაში ჩატარებული სასწავლო პროცესის შედეგები, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მონაცემები დროულად წარადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში.
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის (პროფ. ი. ბასილაძე) შესაბამისმა რგოლმა, ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურმა (ო. შენგელია), მულტიმედიურმა ლაბორატორიამ (დ. კეთილაძე) და ელექტრონული სწავლების კოორდინატორმა (ნ. ცაგარეიშვილმა) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასწავლო პროცესის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებას, ზაფხულის სკოლის ფარგლებში, უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 5 ივნისის № 01-04/39 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით;

6. ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასურის გაანგარიშება მოხდეს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ წლისათვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად;

   *მაგალითად, თუ სტუდენტს ასათვისებელი აქვს 5 კრედიტი და მოცემულ პროგრამაზე სწავლის საფასურია 2250 ლარი, ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასური გამოიანგარიშება შემდეგნაირად: 2250/60*5=187,5 ლ. (სადაც 2250 არის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური, 60 - სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, 5 - სკოლის მსმენელის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა).*

7. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერისტეტის ვებ-გვერდზე, ძირითადი მენიუს პუნქტში „სწავლა“, ქვემენიუ: სასწავლო პროცესი.

რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: პროფ.იმერი ბასილაძე